ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 146

"15" აპრილი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №144-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.048) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №144-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.048) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 13 აპრილის №22.528.566 განკარგულების დანართი N1-თ გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, *პირდაპირი განკარგვის ფორმით*, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №144

N	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ფართი (კვ.მ.)	სართული	საკადასტრო კოდი
1	კახა ბერიძე	39001034787	36.93	სართული 4	01.17.11.027.048.01.1009
2	ირმა კვაშილავა	19001026223	51.82	სართული 3	01.17.11.027.048.01.1010
3	თინათინ ხონელიძე	01611103896	21.21	სართული 3	01.17.11.027.048.01.1007
4	ხვიჩა ბიჩნიგაური	16001008614	16.29	სართული 1	01.17.11.027.048.01.1008